სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

LEPL SAMTSKHE-JAVAKHETI
STATE TEACHING UNIVERSITY

REPRESENTATIVE COUNSIL

ოქმი № 16 "11" ~~ივნისი~~ 2013წ.

დადგენილება № 109

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ

``უმაღლესი განათლების შესახებ``საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ``გ``ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №130/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე–11 მუხლის პირველი პუნქტის ``გ``ქვეპუნქტისა და სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 27 მარტის №5 დადგენილებით დამტკიცებული სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე–3 მუხლის ``ვ``ქვეპუნქტის თანახმად,

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის თანდართული დებულება.

2. დებულება ამოქმედდეს სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვებისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, ასოცირებული პროფესორი როინ თათეშვილი

საქართველო, ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ: 5 (99) 06 33 66, 5(77) 05 06 40
www.sjuni.edu.ge
ელ ფოსტა: contact@sjuni.edu.ge
rector@sjuni.edu.ge
ფაქსი +995 365 22 19 90

Georgia 106, Rustaveli st., Akhaltsikhe
Tel: 5(99) 06 33 66, 5(77) 05 06 40
www.sjuni.edu.ge
E-mail: contact@sjuni.edu.ge
rectorl@sjuni.edu.ge
Fax +995 365 22 19 90

დამტკიცებულია
სსიპ – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
დადგენილება #109 ოქმი #16 „11“ ივნისი 2013წ.
სპიკერი, ასოც. პროფესორი რ. თათეშვილი

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) რექტორის აპარატში (შემდგომში – რექტორის აპარატი) შედის რექტორის მოადგილეები, რექტორის თანაშემწე და რექტორის მოადგილის თანაშემწე (ახალქალაქი).
2. რექტორის აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით.
3. დებულება განსაზღვრავს რექტორის აპარატის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2. რექტორის აპარატის ფუნქციები, ამოცანები და უფლებამოსილება

1. რექტორს ჰყავს ორი მოადგილე (ქ.ახალციხეში, ქ.ახალქალქში), რომელთა უფლებამოვალეობებია:

ა) ორგანიზებას უწევს სასწავლო პროცესს;
ბ) აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ერთეულების საქმიანობაზე;
გ) პერიოდულად მართავს შეხვედრებს ფაკულტეტების დეკანებთან და გასცემს შესაბამის ინსტრუქციებსა და მითითებებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით;
დ). აწარმოებს მონიტორინგს საგამოცდო პროცესზე;
ე). ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობიდან და მისი კომპეტენციიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებებს. რექტორის მოადგილე ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

2. მოადგილეების უფლება–მოვალეობები განისაზღვრება ასევე რექტორის სამართლებრივი აქტით.

3 . რექტორის თანაშემწე(ები)ე:

ა). თანაშემწე ადგენს რექტორის სამუშაო კვირის განრიგს და უზრუნველყოფს მათ მიმდინარეობას;
ბ). უზრუნველყოფს რექტორის მიერ საამისოდ გამოყოფილ დღეებში მოქალაქეების მიღების ორგანიზებას და წესრიგის დაცვას;
გ). უზრუნველყოფს რექტორის შეხვედრების, სხდომების, (თათბირების) ორგანიზებას (ინფორმაციის შეტყობინებას და ა.შ.) უნივერსიტეტის პერსონალთან;
დ). რექტორის დავალებით ამყარებს საერთაშორისო და ადგილობრივ კონტაქტებს რექტორის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებთან, ვიზიტებთან, შეხვედრებთან და ცალკეული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით;
ე). უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისა და მოქალაქეების დოკუმენტაციის რექტორისათვის წარდგენას და მათი შემდგომი რეაგირების მიზნით ადრესატებისათვის გადაცემას;
ვ). რექტორის თანაშემწე(ები)ს ცალკეულ შემთხვევაბში შეიძლება დაეკისროთ აკადემიური საბჭოს მდივნის ასისტენტის მოვალეობის შესრულება სასაქმის წარმოების პროცესში.
ზ). ასრულებს რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ცალკეულ დავალებებს.

4 რექტორის მოადგილის თანაშემწე (ახალქალაქი):

ა). თანაშემწე რექტორის მოადგილესთან (ახალქალაქში) ერთად ადგენს სამუშაო კვირის განრიგს და უზრუნველყოფს მათ მიმდინარეობას;
ბ). უზრუნველყოფს რექტორის მოადგილის (ახალქალაქში) მიერ საამისოდ გამოყოფილ დღეებში მოქალაქეების მიღების ორგანიზებას და წესრიგის დაცვას;
გ). უზრუნველყოფს რექტორის მოადგილესთან (ახალქალაქში) შეხვედრების, სხდომების, (თათბირების) ორგანიზებას (ინფორმაციის შეტყობინებას და ა.შ.) უნივერსიტეტის პერსონალთან;
დ). რექტორის მოადგილის (ახალქალაქში) დავალებით ამყარებს საერთაშორისო და ადგილობრივ კონტაქტებს რექტორის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებთან, ვიზიტებთან, შეხვედრებთან და ცალკეული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით;
ე). უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისა და მოქალაქეების დოკუმენტაციის რექტორის მოადგილისათვის (ახალქალაქში) წარდგენას და მათი შემდგომი რეაგირების მიზნით ადრესატებისათვის გადაცემას;
ვ). ასრულებს რექტორის მოადგილის (ახალქალაქში) მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 3. რექტორის აპარატის წარმომადგენლების შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები

1. რექტორის აპარატის წარმომადგენლების თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნისა და გათავისუფლების წესი განისაზღვრება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის წესდების და პერსონალის სამსახურში მიღების ერთანი წესის შესაბისად.
2. რექტორის აპარატის წარმომადგენლების შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. რექტორის აპარატის წარმომადგენლებთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსისა და შრომითი ხელშეკრულების (გარდა რექტორისა) შესაბამისად.

მუხლი 4. სამსახურებრივი პასუხისმგებლობა

რექტორის აპარატის წარმომადგენლები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე, საქმიანობის პროცესში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე და მათი მიზეზით უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზარალისათვის. ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხს აგებენ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. რექტორის აპარატის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.